სსიპ -კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წლიური ანგარიში

2023 წელი

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანება. შესაბამისად, **სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

კოლეჯის ხედვაა 2025 წლისათვის იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და, მიმართულებების შესაბამისა, დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

<u>მიზნების მისაღწევად</u> კოლეჯის საქმიანობის საგანია განახორციელოს: პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, ტრენინგ-კურსები და პროგრამები არაფორმალური განათლების ფარგლებში, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით. კოლეჯი, დასახული მიზნების მისაღწევად, ასევე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: + 995 32 2140314, + 995 32 2140315

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და
მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები და კურსები

კოლეჯს 2018 წლიდან, 6 წლის ვადით, მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულელებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს მე-3-4-5 საფეხურის/დონის შემდეგი პროგრამები:

№	*პროგრამის დასახელება*	*კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით*						
		I	II	III	IV	V	სწავლის ვადა (თვე)	შენიშვნა
1.	ბუღალტრული აღრიცხვა	–	–	–	–	99	17.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი)
2.	ინფორმაციის ტექნოლოგია	–	–	61	–	–	11.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)
3.	საოფისე საქმე	–	–	–	59	–	12	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი)
4.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	–	–	–	90/148	–	18.5/30	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
5.	საფინანსო სერვისები	–	–	52	–	–	10.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)
6.	სამკერვალო წარმოება	–	–	100	-	–	19	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)
7.	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	–	–	–	90/143	–	18/30	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (6.5 თვე, 30 კრედიტი) (ინტეგრირებული მიდგომით 7 თვე, 30 კრედიტი))
8.	გრაფიკული დიზაინის შესრულება	–	–	–	90/143	–	17/30.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
9.	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	–	–	–	83	–	15.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი)
10.	ვებტექნოლოგიები	–	–	–	64/114	–	12.5/29	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
11.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	–	–	59	–	–	11	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3 თვე, 15 კრედიტი)
12.	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	–	–	58	–	–	11	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3 თვე, 15 კრედიტი)
13.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	–	–	82	–	–	14.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3.5 თვე, 15 კრედიტი)

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები:

- **„მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“;**
- **„საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“;**
- **„სალარო ოპერაციების განხორციელება“;**
- **„ხიდურა ამწის ოპერირება“;**
- **„სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“;**
- **„ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“.**

კოლეჯში ასევე ისწავლება შემდეგი **სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/ტრენინგ-კურსები:**

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- სოციალური მედიის მართვა;
- ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ოფისის მენეჯერი;
- კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება);
- მეწარმეობა (მცირე ბიზნესის მწარმოებელი);
- ძრავის შემკეთებელი;
- მოლარე;
- ვებპროგრამისტი;
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი;
- ტანსაცმლის დიზაინი და კერვა;
- გერმანული ენა;
- ინგლისური ენა;
- მართვის მოწმობა (ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვა - თეორიული საკითხები);
- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
- საქმიანი ურთიერთობის კულტურა;
- კომუნიკაცია;
- სალარო ოპერაციების განხორციელება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან/ინსტრუქტორებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. კოლეჯში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

პროფესიებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და ცალკეული მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციებს სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და/ან შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2023 წელს კოლეჯმა მიღება გამოაცხადა ყველა არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პრაქტიკული მოსინჯვის გზით თითოეულ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სსსმ აპლიკანტების რაოდენობა განისაზღვრა პირველად მიღებისას - **53** ადგილით, მეორადი ჩარიცხვების კვოტით - **39** ადგილით. მიღების პერიოდში, დარეგისტრირებულთა შორის, სპეციალური საჭიროება მითითებული ჰქონდა **26** აპლიკანტს, ხოლო „მეორადი ჩარიცხვებისას" – **3** აპლიკანტს. თითოეულ მათგანს მიეწოდა ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ. აპლიკანტები დეტალურად გაეცვნენ შესაბამისი დასაქმების სფეროებს, რათა აპლიკანტებს თავად მიეღოთ გადაწყვეტილება და აერჩიათ სასურველი პროფესია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ პრევენციის მიზნით, პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაქსიმალურად დაცულ იყო უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯის ადმინისტრაცია ყოველთვის ორიენტიერებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჰიბრიდული სწავლების პერიოდში გამოვლენილი სირთულეების მიუხედავად, სტუდენტებს მაქსიმალურად ხარისხიანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს.

2023 წლის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა **15 სსსმ პროფესიული სტუდენტი,** აქედან **14 სსსმ პროფესიული სტუდენტი** ჩაირიცხა პირველადი ჩარიცხვისას, ხოლო **1 სსსმ** პროფესიული სტუდენტი „მეორად ჩარიცხვებზე". ეს სტუდენტები გადანაწილდნენ შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" - 3;
- „ინფორმაციის ტექნოლოგია" – 6;
- „საოფისე საქმე" - 2;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება"-1;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება" (ინტეგრირებული)- 1;
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრული სისტემების შეკეთება"-1;
- „კომპიუტერული ქსელიდა სისტემები; -1.

აქედან სწავლას აგრძელებს **13 სსსმ პროფესიული სტუდენტი**.

- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" - 3;
- „ინფორმაციის ტექნოლოგია" – 6;
- „საოფისე საქმე" - 2;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება"-1;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება" (ინტეგრირებული)- 1.

2023 წელს ჩარიცხული - **3 სსსმ** და 2021 წელს ჩარიცხული - **1 სსსმ პროფესიული სტუდენტის** საჭიროებიდან გამომდინარე და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯმა უზრუნველყო ტრანსპორტირება.

2023 წელს ჩარიცხული - **3 სსსმ** და 2021 წელს ჩარიცხული - **1 სსსმ პროფესიული სტუდენტის** საჭიროებიდან გამომდინარე და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯმა უზრუნველყო ინდივიდუალური/პერსონალური ასისტენტების მხარდაჭერა.

2023 წელს ჩარიცხული - **1 სსსმ პროფესიული სტუდენტის** საჭიროებიდან გამომდინარე და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯმა უზრუნველყო გამცილებლის სერვისით მხარდაჭერა.

2023 წელს მიღებულ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, კოლეჯში სწავლას აგრძელებს 2021 წელს ჩარიცხული **1 სსსმ** პროფესიული სტუდენტი და 2022 წელს ჩარიცხული **3 სსსმ** პროფესიული სტუდენტი.

- „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგრირებული) -1;
- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“- 2;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ინტეგრირებული) – 1.

2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა **3** სსსმ პროფესიულ სტუდენტს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „საოფისე საქმე“ – 1;
- „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ – 1;
- „საფინანსო სერვისები“ – 1.

2023 წლის 17 თებერვალს სტატუსი შეიჩერა **1 სსსმ პროფესიულმა სტუდენტმა,** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ვებტექნოლოგიები“.

2023 წლის 1 მარტს სტატუსი შეუწყდა **2 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ – 1 (პროგრამის ვერ დაძლევის გამო);
- „ვებტექნოლოგიები“ – 1 (საკუთარი განცხადების საფუძველზე).

2023 წლის 13 სექტემბერს **ლექციებზე გამოუცხადებლობის გამო** სტატუსი შეუწყდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგიები“.

2023 წლის 13 ნოემბერს **პროგრამის ვერ დაძლევის გამო** სტატუსი შეუწყდა **3 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ – 2;
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ – 1.

2023 წლის 22 ნოემბერს **საკუთარი განცხადების საფუძველზე** სტატუსი შეუწყდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მე-4 დონე).

2023 წლის 12 დეკემბერს **საკუთარი განცხადების საფუძველზე** სტატუსი შეუჩერდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

ამჟამად, კოლეჯში ირიცხება და სწავლას აგრძელებს **17 სსსმ პროფესიული სტუდენტ**ი, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ინფორმაციული ტექნოლოგია“ (მე-3 დონე) - 6;
- „საოფისე საქმე“ (მე-4 დონე) - 2;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მე-4 დონე) - 1;
- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ (მე-4 დონე) - 5;
- „გრაფიკული დიაზინის შესრულება“ (ინტეგრირებული, მე-4 დონე) – 2;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ – 1.

კოლეჯში სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია ყველა პირობა, რათა მათ ხარისხიანი პროფესიული განათლება მიიღონ. ზემოხსენებული სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისას გაწეული მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით, კოლეჯში დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი, სსსმ პირის ინდივიდუალური ასისტენტი/გამცილებელი.

სსსმ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგის მიზნით, რეგულარულად ხდება დაკვირვება სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან/და აკომოდაცია, ასევე, ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიული სტუდენტების მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებისას ისინი იღებენ ინფორმაციას პროფესიული ინკლუზიური განათლების შესახებ, განიხილება სწავლებასთან მიმართებაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებანი, ლექციებზე დასწრებისა და მოტივაციის ამაღლების, ასევე დაუდასტურებელი მოდულების გავლის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან აქტიურად ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია, არსებული წარმატებისა და გამოწვევების გაცნობა, სასწავლო პროცესში ცვლილებების, სასწავლო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ინკლუზიური განათლების ფარგლებში განხორციელებული ზოგიერთი აქტივობა

16 ოქტომბერს სს „ლიბერთი ბანკის“ დახმარებით პროფესიულ სასწავლებელში მოეწყო სიმულაციური ოთახი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საფინანსო სერვისები“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის. „ლიბერთი ბანკის“ გუნდი აქტიურად ჩართულია ამ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში.

26 ოქტომბერს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „საოფისე საქმის“ და „საფინანსო სერვისების“ პროფესიულ სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა, აღნიშნული პროგარმები 2 სსსმ პროფესიულმა სტუდნეტმა წარმატებით დაასრულა.

31 ოქტომბერს გაიმართა ინტერაქციული ვებინარი თემაზე - „რთული ქცევის მქონე მოსწავლეთა შემთხვევის მართვა“.

31 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი „IT რისკების მართვა და უსაფრთხოების შესახებ“.

17 ნოემბერს დაიწყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კოლეჯისა და ა(ა)იპ ცოდნის ტერმინალის ერთობლივი პროექტი „სტარტაპ ჰაბი“, პროექტით განსაზრვრულ აქტივობებში მონაწილეობას იღებს - 3 სსსმ პროფესიული სტუდენტი.

30 ნოემბერს - კარიერული მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯში გაიმართა დასაქმების ფორუმი, სადაც პარტნიორმა ორგანიზაციამ, ყველაზე მსხვილმა სავაჭრო კომპანია „კარფურმა“ წარმოადგინა მიმდინარე ვაკანსიები სპეციალურად კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის, შეხვედრას დაესწრნენო სსსმ კურსდამთავრებულები.

4 დეკემბერს „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნების“ მოდულის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ექსკურსია პარტნიორ ორგანიზაციასთან შპს. „FLEXMEDIA“-სთან.

5 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი „პირველადი სამედიცინო დახმარება“.

12 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების დაცვა სასწავლო დაწესებულებებში“.

13 დეკემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა „კარიერის მართვის ახალი სერვისები პროფესიულ განათლებაში“.

15 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი „თანამედროვე ქართულის სალიტერატურო ენის ნორმები“.

19 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

22 დეკემბერს ჩატარდა ვებინარი თემაზე: „ფიზიკური მისაწვდომობა და დამხმარე ტექნოლოგიები შშმ პირებისათვის“.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება. გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატურად იმართება შეხვედრები სკოლების მოსწავლეებთან პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. ისინი, მათ შორის, სსსმ და შშმ პირები ხშირად გამოხატავენ ინსტერესს მიიღონ დაწვრილებითი ინფრომაცია კოლეჯში არსებული პროფესიების შესახებ, სტუმრობენ კოლეჯს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.